ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: მარინა კვაჭაძე

კომისიის წევრი: გიორგი ქოიავა

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთრაძე

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: დავით კვაჭანტირაძე

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

საჩივრის ავტორი: ა. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.07.2012

საჩივრის რეგისტრაციის №106/12

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2012 წლის 30 ივლისს ა. ბ.-მ საჩივრით მომართა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით 1992 წელს საკუთარ სახელზე განახორციელა ბინის პრივატიზაცია. საჩივრის ავტორის განცხადებით, ბინის პრივატიზაციის განხორციელებისას მისი ოჯახი შედგებოდა ოთხი წევრისაგან: მეუღლის, ლ. ბ.-ს და ორი ქალიშვილისაგან. საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და ლ. ბ.-ს შორის ქორწინება ფაქტიურად 1993 წელს შეწყდა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ყოფილმა მეუღლემ, ლ. ბ.-მ გაყალბებული პირადობის მოწმობით პრეტენზია განაცხადა საჩივრის ავტორის მიერ პრივატიზაციით მიღებულ უძრავ ქონებაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ყოფილი მეუღლის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. ბ.. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ბ.-ს შესახებ პირველად 2011 წლის 27 ოქტომბერს შეიტყო სსიპ საჯარო რეესტრის მასალებიდან, 2012 წლის 23 იანვარს კი პირადად შეხვდა მას თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2011 წლის 11 ოქტომბერს ადვოკატმა მ. ბ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეიტანა განცხადება ლ. ბ.ს მატერიალური მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, საჩივრის ავტორის სახელზე პრივატიზებულ ბინაზე ყადაღის დადების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით აღნიშნული განცხადება დააკმაყოფილა.

1.5 2012 წლის 23 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ლ. ბ.-ს მოთხოვნა და მიაკუთვნა მას წილი პრივატიზაციით მიღებული ქონებიდან. საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამარათლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სადაც მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა, მ. ბ.-მა მორიგების კაბალური პირობები შესთავაზა საჩივრის ავტორის წარმომადგენლებს.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ადვოკატმა მ. ბ.-მა გააყალბა ლ. ბ.-ს ხელმოწერა მის პირადობის მოწმობაზე; შემდეგ აღნიშნული პირადობის მოწმობის საფუძველზე გაიფორმა ლ. ბ.-ს მინდობილობა. ადვოკატმა მ. ბ.-მა სამოქალაქო რეესტრში გააყალბა ა. ბ.-ს, "საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა" და გაყალბებული დოკუმენტის საფუძველზე ლ. ბ. დარეგისტრირდა ქ.-ის №XXში. საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა აღნიშნული ქმედებები საკუთარი კლიენტის, ლ. ბ.-ს მითითებით განახორციელა და ომოქმედა მის მაგივრად, რადგან ლ. ბ. იმ პერიოდში საქართველოში არ იმყოფებოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მ. ბ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ბ.-მა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიაში წერილობითი ახნა-განმარტება წარმოადგინა 2012 წლის 10 აგვისტოს, რომლის თანახმად, საჩივრის ავტორი არის მისი მარწმუნებლების (ლ. ბ., ა. ბ. და დ. ბ.) პროცესუალური მოწინააღმდეგე. ადვოკატის განცხადებით, მხარეებს შორის წარმოიშვა ქონებრივი დავა საჩივრის ავტორის სახელზე პრივატიზებული ბინის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დავა დასრულდა ადვოკატის მარწმუნებლების სასარგებლოდ და მათ მიიღეს სადაო ბინის ¾ ნაწილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჩივრის ავტორმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება, ლ., ა. და დ. ბ.-ების საცხოვრებელი ბინის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ, შესულია კანონიერ ძალაში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის განცხადებაში მოყვანილი ფაქტი მის მიერ სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შესახებ შეესაბამება სიმართლეს, თუმცა, აღნიშნული ქმედება განზრახ არ ჩაუდენია. ადვოკატის განმარტებით, საქმე ეხება მისი მარწმუნებლის, ლ. ბ.-ს მიერ ბიომეტრიული პირადობის მოწმობის აღებას. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული ბიომეტრიული პირადობის მოწმობის აღება არ იყო აუცილებელი, რადგან ლ. ბ.-ს ჰქონდა საქართველოს მოქალაქის პასპორტიც.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მის მიერ შევსებული საცხოვრისის მესაკუთრის ფორმა, ა. ბ.-ს თანხმობა ლ. ბ.-ს რეგისტრაციის თაობაზე წარმოადგენდა მხოლოდ ნიმუშს, რომელიც რეესტრის თანამშრომელმა აღიქვა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად და მესაკუთრის ვინაობისა და მისამართის გადაუმოწმებლად დაარეგისტრირა მონაცემთა ერთიან ბაზაში.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ლ. ბ.-ს თხოვნით მან კლიენტს შეუვსო საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის დოკუმენტი ნიმუშად და ხელიც მოაწერა ნიმუშზე. ნიმუშის შევსების მიზანი ის იყო, რომ ლ. ბ. რუსულენოვანია და, მისივე თხოვნის საფუძველზე აჩვენა ადვოკატმა როგორ ივსება აღნიშნული დოკუმენტი. ადვოკატის განმარტებით, მან განუმარტა ლ. ბ.-ს, რომ დოკუმენტში არ ეწერა ა. ბ.-ს მისამართი, დოკუმენტი არ იყო იურიდიული ძალის მქონე და არ შეეძლო მისი გამოყენება.

2.5 ადვოკატმა 2013 წლის 07 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ რწმუნებულების გაფორმებამდე მან მხოლოდ კონსულტაცია გაუწია ლ. ბ.-ს და არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ფიზიკური პირი, ისე დაეხმარა მას, რადგან მინდობილობა მხოლოდ შემდეგ გაფორმდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2012 წლის 30 აგვისტოს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ბ.ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. 2012 წლის 30 აგვისტოს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მ. ბ.-მ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას გამოიყენა არაკანონიერი საშუალებები, ადგილი ექნება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას.

3.3. ადვოკატი მ. ბ. წარმოადგენდა ა. ბ.-ს მოწინააღმდეგე მხარის, ლ. ბ.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატმა მ. ბ.-მ ლ. ბ.-ს ნაცვლად, რომელიც არ იმყოფებოდა საქართველოში, შესაძლოა ხელი მოაწერა მის ბიომეტრიულ პირადობის მოწმობას და აღნიშნული პირადობის მოწმობის გამოყენებით, ლ. ბ.-ს სახელით გააფორმა წარმომადგენლობა თავის სახელზე. ადვოკატმა მ. ბ.-მ ბ.ს სახელით სამოქალაქო რეესტრის სამსახურში წარადგინა საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა, რომელსაც ხელი თვითონ მოაწერა.

3.4. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ქმედებები, ადვოკატის მიერ განხორციელების დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა შეფასდეს, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის მიერ კანონით აკრძალული საშუალებების გამოყენება საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების

36-ე მუხლით და 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდაო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ლ. ბ.-ს სახელზე პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გაიცა 2011 წლის 16 სექტემბერს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2011 წლის 19 სექტემბერს გაცემული მინდობილობა №110998243 (ს.ფ. 35)

5.1.2 ლ. ბ.-მ ადვოკატ მ. ბ.-ს მინდობილობა გაუფორმა 2011 წლის 19 სექტემბერს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2011 წლის 19 სექტემბერს გაცემული მინდობილობა №110998243 (ს.ფ. 35)
2. 2013 წლის 07 თებერვლის ეთიკის კომისიის განხილვის სხდომის ოქმი (ს.ფ. 54)

5.1.3 ადვოკატმა მ. ბ.-მ შეავსო საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის ფორმა და ხელი მოაწერა მას ა. ბ.-ს სახელით. მისამართის გრაფაში, სადაც მითითებულია: ,,უჩვენეთ ზუსტი მისამართი,“ ადვოკატმა მიუთითა არა ა. ბ.-ს ნამდვილი მისამართი-ქ.თბილისი, ქ. ქუჩა №X, კორპ №X, ბინა №X, არამედ ნიმუშისთვის მიუთითა სხვა ბინის ნომერი-ქ.თბილისი, ქავთარაძის ქუჩა №X, კორპ №X ბინა №XX. აღნიშნული მოწმობის საფუძველზე ლ. ბ. დარეგისტრირდა საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის ფორმაში მითითებულ მისამართზე საჯარო რეესტრის თანამშრომლის შეცდომის შედეგად.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ მ. ბ.-ს 2012 წლის 10 აგვისტოს ახსნა-განმარტება (ს.ფ. 19)

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ივნისის განაჩენი (ს.ფ. 14)
3. 2013 წლის 07 თებერვლის ეთიკის კომისიის განხილვის სხდომის ოქმი (ს.ფ. 56)

5.1.4 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 ივნისის განაჩენით დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და მ. ბ. ცნობილი იქნა დამნაშავედ ყალბი დოკუმენტის, კერძოდ, ა. ბ.-ს საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის დამზადება-გამოყენებისათვის.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ მ. ბ.-ს 2012 წლის 10 აგვისტოს ახსნა-განმარტება (ს.ფ. 20)
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ივნისის განაჩენი (ს.ფ. 16)

5.1.5 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით ა., დ. და ლ. ბ.-ები ცნობილი არიან სადაო ბინის ¾ ნაწილის მესაკუთრეებად.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ მ. ბ.-ს 2012 წლის 10 აგვისტოს ახსნა-განმარტება (ს.ფ. 19)
2. 2013 წლის 07 თებერვლის ეთიკის კომისიის განხილვის სხდომის ოქმი (ს.ფ. 56)
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ს.ფ. 41)

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

ადვოკატმა გაუფრთხილებლობით დაარღვია გონივრული წინდახედულების ფარგლები კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას და ნიმუშად შევსებულ დოკუმენტს-საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობას, თავად, სხვა პირის სახელისა და გვარის მითითებით მოაწერა ხელი.

7.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება-დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მომენტიდან ადვოკატს წარმოეშობა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, კონსულტაციის გაწევის შემდეგ კლიენტი გააგრძელებს თუ არა მასთან ურთიერთობას.

7.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №027/11/ განმარტა, რომ ,,ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან.''

7.4 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მითითებას, რომ ლ. ბ. დოკუმენტის ნიმუშად შევსების მომენტში ჯერ კიდევ არ იყო მისი კლიენტი და იგი რუსულენოვან ქალბატონს დაეხმარა ქართულენოვანი დოკუმენტის ნიმუშად შევსებაში არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ფიზიკური პირი მ. ბ., რადგან მინდობილობა მხოლოდ კონსულტაციის გაწევის შემდეგ გაფორმდა. აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ზოგადი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე და საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის ფორმის შევსებისას მ. ბ. მოქმედებდა როგორც ადვოკატი.

7.5 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით.

7.6 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

7.7 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №010/10/ დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო

წესების დაცვით. კლინეტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.“

7.8 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Brandstetter v Austria (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) განმარტა: „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“

7.9 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი მ. ბ. წარმოადგენდა ა. ბ.-ს მოწინააღმდეგე მხარის, ლ. ბ.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატმა მ. ბ.-მაა. ბ.ს სახელით შეავსო საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის სარეგისტრაციო ფორმა, რომელიც შემდეგ რეესტრში დარეგისტრირდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 ივნისის განაჩენით დადასტურდა, რომ ,,საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის“ სარეგისტრაციო ფორმაზე ა. ბ.-ს ნაცვლად ხელი მოაწერა მ. ბ.-მა.

7.10 ეთიკის კომისია იზიარებს ადვოკატის მითითებას და არგუმენტაციას იმის თაობაზე, რომ მან ნიმუშად შეავსო საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა. ადვოკატმა არასრულად შეავსო ფორმა, პირადობის მოწმობის სერიის ნომრის გრაფა არ არის შევსებული. ასევე, საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის ფორმის მისამართი მიუთითა არასწორად (იხ. ფაქტობრივი გარემოება 5.1.3). ნიმუშად შევსებულ დოკუმენტს ადვოკატმა ა. ბ.-ს სახელით ნიმუშად მოაწერა ხელი. ადვოკატ მ. ბ.-ს განზრახვა რომ ყოფილიყო დოკუმენტის გაყალბება და მისი დარეგისტრირება, სრული და სწორი მონაცემებით შეავსებდა დოკუმენტს. შესაბამისად, ადვოკატი მ. ბ. მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა ისინი. მას, როგორც ადვოკატს, უნდა გამოეჩინა გონივრული წინდახედულება და გაეთვალისწინებინა ნიმუშად შევსებული ხელმოწერილი დოკუმენტის გამოყენების საშიშროება და მისი სავარაუდო შედეგები.

7.11 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ დოკუმენტის ნიმუშის შესავსებად, სხვა გრაფებისგან განსხვავებით, რომლებიც შესაძლოა რეალური რეკვიზიტებით შეივსოს, ხელმოწერის გრაფაში ნიმუშად დოკუმენტის ნამდვილი ავტორის ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია; ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება. სხვისი სახელით ხელმოწერილმა დოკუმენტმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან

ხელმოწერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმომწერის ნების გამოვლენა. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის არასწორად გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს როგორც ხელმომწერი პირისათვის, ასევე იმ პირისათვის ვისი სახელითაც განხორციელდა ხელმოწერა. კლიენტისათვის საკმარისი იქნებოდა პირობითი ნიშნით აღნიშნულიყო ის ადგილი, სადაც ხელმოწერა უნდა შეესრულებინა კლიენტს. შესაბამისად, ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის სარეგისტრაციო ფორმაზე ხელმოწერა ნიმუშის შევსების მიზნისთვის არ იყო საჭირო, მით უფრო, რომ მ. ბ.-მა ხსენებულ ფორმას ხელი მოაწერა საცხოვრისის ნამდვილი მესაკუთრის - ა. ბ.-ს სახელით.

7.12 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ პრეიუდიციული ძალის მქონედ აღიარებს სასამართლოს განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას და არა სასამართლოს გადაწყვეტილებას. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასამართლო ადგენს ფაქტებს, თუმცა არ იკვლევს მათ. სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენში, რომლითაც მ. ბ. საპროცესო შეთანხმების პირობებს დათანხმდა, ფაქტები არ არის გამოკვლეული, შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში არ არის დადგენილი ადვოკატ მ. ბ.-თვის ინკრიმინირებული დანაშაულის მოტივი.

7.13 ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ადვოკატ მ. ბ.-ს პოზიცია დისციპლინური სამართლაწაროებისას და მისი დამოკიდებულება საკითხისადმი, რომ როგორც ადვოკატს მეტი წინდახედულება უნდა გამოეჩინა. კლიენტისათვის გარდა სიტყვიერი განმარტების მიცემისა, რომ ამ უკანასკენლს ადვოკატმა მხოლოდ ნიმუშად გადასცა საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის სარეგისტრაციო ფორმა, მას უნდა მიედევნებინა თვალ-ყური არასრული და არაზუსტი რეკვიზიტებით შევსებული სანიმუშო დოკუმენტისათვის, რათა არ მომხდარიყო მისი გამოყენება კლიენტის მიერ. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ გონივრულ ფარგლებში წინდახედულების საზომით მოქმედება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა და ამ საკითხისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება მოეთხოვება ადვოკატს.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ /სიითი № / დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.

3. ადვოკატ მ. ბ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კომისიის წევრი: /მარინა კვაჭაძე/

კომისიის წევრი: /გიორგი ქოიავა/

კომისიის წევრი: /დავით კაკაბაძე/

კომისიის წევრი: /ცირა შუბითიძე/

კომისიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კომისიის წევრი: /გიორგი ბეგიაშვილი/

კომისიის წევრი: /ემზარ პაქსაძე/

კომისიის წევრი: /ლავრენტი ქავთრაძე/

კომისიის წევრი: /კობა ბოჭორიშვილი/

კომისიის წევრი: /დავით კვაჭანტირაძე/

კომისიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/